ფაკულტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სადოქტორო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ლევან ბარამიძე, ასოცირებული პროფესორი ნინო კილაძე
პროგრამის მოცულობა	3 წელი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზნები:	– საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგის სისტემური გაგების მქონე აკადემიური დოქტორის (PhD) მომზადება, რომელსაც ექნება ფუნდამენტური და სისტემური ცოდნა, სათანადო კვალიფიკაცია სამეცნიერო–კვლევითი მეთოდების ფლობის თვალსაზრისით და კომპეტენცია ამ სფეროში წარმატებული კვლევითი/აკადემიური მუშაობისათვის. – საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში კონკურენტუნარიანი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა რგოლში/საფეხურზე ეფექტურად მომუშავე აკადემიური დოქტორების მომზადება, რომელნიც შეძლებენ კომპეტენტურად შეიმუშაონ, დაგეგმონ და განახორციელონ პრევენციული და ჯანმრთელობის ხელშემწყობი, გარემოს მედიცინის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, პროფესიული მედიცინის, ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის, უსაფრთხო კვების, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამები, ასევე, მართონ კურაციული პროგრამები და სხვ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის სულისკვეთება ესადაგება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისიას და ღირებულებებს, ეხმიანება რა ადამიანის სიცოცხლის ხარისხის დაცვის და გაუმჯობესების, სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვის და მომსახურების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის განმსაზღვრელ პრინციპებს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგში აკადემიური კადრის მომზადებისას გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოთხოვნები. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, ითვალისწინებს რა როგორც კურსდამთავრებულთა, ასევე პოტენციურ დამსაქმებელთა

	ინტერესებს და, ასევე, სამაგიდო კვლევით დადგენილ პროფესიულ დარგობრივ სტანდარტებს.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/-ები	დოქტორანტურაში მიღების/სადოქტორო კვლევის პროგრამაზე დაშვების წესი განისაზღვრება თსსუ–ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულებით დოქტორანტურის შესახებ და შეესაბამება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ. დოქტორანტურაში /სადოქტორო კვლევის პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები. მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულებით დოქტორანტურის შესახებ. საქართველოს მოქალაქეებისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია საზოგადოებრივი ჯანდაცვის (ან მომიჯნავე დეტალური სფეროს) მაგისტრის, ან მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული ხარისხის ფლობა და დოქტორანტურაში მისაღებ კონკურსში გამარჯვება. კონკურსი მოიცავს: ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას; ბ) გამოცდების წარმატებით ჩაბარებას ძირითად სპეციალობასა და უცხოურ ენაში (ინგლისურ ენაში - B2 დონე).
სწავლების მეთოდები	სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის **სასწავლო და კვლევითი კომპონენტები,** რომლებიც ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას. ეს გულისხმობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში დაგროვილი და უახლესი, მტკიცებულებებზე დამყარებული ცოდნისა და მეთოდოლოგიის სრულ და ადეკვატურ ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებზე, რაც, გარდა საკუთრივ კვლევითი მუშაობისა, გულისხმობს დოქტორანტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, მოიცავს პრაქტიკულ საქმიანობას (ჯგუფური მუშაობა, სიტუაციური ანალიზი, კონკრეტული შემთხვევების გარჩევა (Case-study), თეზისის მომზადება/პრეზენტაცია), დისკუსიებს, ემპირიულ სწავლებას, ადვოკაციას, სემინარებსა და პროექტებს. დოქტორანტი არის სამეცნიერო კომპონენტის უშუალო შემსრულებელი. აკადემიური აქტივობის მეთოდები ცალ-ცალკე და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სადოქტორო პროგრამა აგებულია სასწავლო

	კურსებისაგან/მოდულებისაგან და მოიცავს სამეცნიერო კვლევას, სტატისტიკაზე დაფუძნებული ანალიზით, რომლის შედეგს არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, შინაარსი, მოცულობა და სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის და იმ შედეგების მიღწევას, რაც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მერვე დონის/აკადემიური განათლების მესამე საფეხურის შედეგებს შეესაბამება. სასწავლო კურსები/მოდულები სტრუქტურირებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის და მისი ქვემდებარე სხვა ნორმატივების ფარგლებში. სწავლების მეთოდები შეესაბამება დოქტორანტის მომზადების თანამედროვე მეთოდოლოგიურ, მათ შორის - სპეციფიკურ მოთხოვნებს. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტ - სატრანსფერო სისტემის შესაბამისად. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს აკადემიური აქტივობის ცალკეული მეთოდი და ამ მეთოდთა ერთობლიობა, სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტის უშუალოდ დოქტორანტის მიერ შესრულებასთან ერთად.
სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა	სადოქტორო პროგრამის **კვლევითი კომპონენტის შეფასების** ერთგვარი შუალედური ფორმა დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაციაა (ანგარიშგება) დეპარტამენტ(ებ)ში, სადაც სრულდება სადოქტორო კვლევა. კრიტერიუმები შემდეგია: ➢ შესრულებული **სასწავლო კომპონენტის/კრედიტების** შესაბამისობა დოქტორანტის გეგმასთან; ▪ გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსი/-ები, ▪ წარმატებით ათვისებული სასწავლო კურსი/-ები; ➢ შესრულებული **კვლევითი** აქტივობის შესაბამისობა დოქტორანტის გეგმასთან: ▪ დაგეგმილი კვლევითი აქტივობა, ▪ ჩატარებული კვლევები/დაკვირვებები, ▪ სამეცნიერო პუბლიკაცია/-ები. ➢ ინდივიდური სადოქტორო კვლევის გეგმის/თემის **ხელმძღვანელის** შეფასება დოქტორანტის მუშაობის შესახებ. საბაზო დეპარტამენტის/-ების სხდომაზე დოქტორანტის მუშაობის ანგარიშის განხილვის შესაბამისად დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო შეიძლება შეფასდეს, როგორც **„საკმარისი“/“არასაკმარისი“/“სრულიად არასაკმარისი“.** დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს **„საკმარისად“**

	შეფასების შემთხვევაში მას ეძლევა რეკომენდაცია მუშაობის გაგრძელებისათვის მისი გეგმა-რუკის შესაბამისად. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს **„არასაკმარისად“** შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა რეკომენდაცია: ▪ სასაწავლო გეგმაში და/ან ინდივიდუალური სადოქტორო კვლევის გეგმაში ცვლილებების შესახებ, ან ▪ სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, თუ სტატუსის აღდგენის შემდგომ დოქტორანტურის დასრულებამდე დარჩენილ პერიოდში შესაძლებელია ინდივიდუალური სადოქტორო კვლევის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს **„სრულიად არასაკმარისად“** შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტის მუშაობის შემაფერხებელ გარემოებათა კომპლექსური ანალიზის, ასევე, დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის განმარტებების გათვალისწინებით, გაიცემა რეკომენდაცია დოქტორანტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების/სტატუსის შეწყვეტის შესახებ. საბაზო დეპარტამენტის/-ების **სხდომის ოქმი,** დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაციის შედეგების აღწერით, ბარდება თსსუ-ის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურს. დოქტორანტურა სრულდება დისერტაციის დაცვით. სადისერტაციო საბჭოს მიერ დისერტაციის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3–ის მ.4, პ.10,11,12,13–ის შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომი დადგენილი კრიტერიუმებით შეფასდება სადისერტაციო საბჭოს თითოეული წევრის მიერ ცალ–ცალკე. ნაშრომი საბოლოო შეფასება დგინდება ცალკეულ შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით. საბოლოო შეფასებად „არადამაკმაყოფილებელის“ (42–51 ქულა) მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება ერთი წლის განმავლობაში. „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების (≤41ქულა) მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას. პროგრამის **სასწავლო კომპონენტთან** მიმართებაში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS). პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3, 5.01.2007 შესაბამისად.

	დოქტორანტის ცოდნის შეფასების პრინციპები და კრიტერიუმები ტრანსპარენტულია და ცნობილია აკადემიურ პროცესში ჩართული ყველა სუბიექტისათვის. ისინი შეესაბამება სტუდენტის მიერ არა მარტო თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარების ათვისების ხარისხის ობიექტური შეფასების ინტერესს. ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოყენებულია როგორც ზეპირი, ასევე ტესტური და კომბინირებული გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატი/თეზისი. დოქტორანტის შეფასების ინდიკატორები პროგრამის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე და პროგრამის ყველა ნაწილში დეკლარირებულია ღიად, ცნობილია სადოქტორო პროგრამაში ჩართული ყველა სუბიექტისათვის. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა/-ები სტრუქტურირდება და რეგულირდება: 1. დებულებით „თსსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ“, და **2.** დებულებით „თსსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“. სადისერტაციო საბჭო დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის გასამართად აუცილებელია ქვორუმის არსებობა. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ის შესაბამისად. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი წესით სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. ხარისხის მინიჭებისათვის საჭიროა საბჭოს წევრთა მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასება საშუალოდ სულ ცოტა 51 ქულით. 95–100 ქულა: ფრიადი – შესანიშნავი ნაშრომი **(summa cum laude)** 87–94 ქულა: ძალიან კარგი –შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება **(magna cum laude)** 77–86 ქულა: კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება **(cum laude)** 66–77 ქულა: საშუალო - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს **(bene)**

	51–65 ქულა: დამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს **(rite)** 42–51 ქულა: არადამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს **(insufficienter)** ≤ 41 ქულა: სრულიად არადამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს **(sub omni canone)** არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
სწავლის შედეგები	სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდგომ აკადემიური დოქტორ(ი)ს ფლობს/აქვს: **ცოდნა და გაცნობიერება** ▪ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მისი მომიჯნავე სფეროების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით იძლევა ახალი დარგობრივი ცოდნის გენერირების საფუძველს. ღრმა და სისტემური ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მეთოდების შესახებ, მათ შორის – ინტერდისციპლინურ ფორმატში. ▪ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო-პრაქტიკული ინფორმაციის სრულად, მულტიდისციპლინურად, კომპლექსურად და კრიტიკულად შეფასების კომპეტენციას. **უნარი** ▪ ახალი ცოდნის გენერაციასა და ტრანსლირებაზეა ორიენტირებული ორიგინალური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, განხორციელება, მართვა და დანერგვა. ▪ აკადემიური კეთილსინდისიერების პრონციპების განუხრელი დაცვით ინოვაციური, ორიგინალური დარგობრივი კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და მართვა; ▪ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებათა

	პრევენციის და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ფოკუსირებული ეპიდემიოლოგიური, საზოგადოებრივ–ჯანდაცვითი, პროფილაქტიკური, გარემოსა და პროფესიული ფაქტორების მავნე ზემოქმედების აცილებასა და/ან მინიმიზებაზე მიმართული დარგობრივი აკადემიური, პროფესიული, კვლევითი აქტივობების/პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მართვა, შესაბამისი კომპლექსური პრობლემის გადაჭრის ეფექტური გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება. ▪ საკუთარი და/ან მისი თანამონაწილეობით ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგების აღწერა, სისტემატიზება, ანალიზი და გაფორმება საერთაშორისო ცირკულაციაში არსებული სამეცნიერო ინფორმაციის სტანდარტების შესაბამისად, ასევე, სამეცნიერო კვლევის შედეგების წარდგენა და დისკუტირება ეროვნულ და საერთაშორისო შეხვედრებზე პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** ▪ ახალ პროფესიულ ღირებულებათა დამოუკიდებლად ძიება/კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ახალი მეთოდების შემუშავება; ▪ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში კვლევის ეთიკის პრინციპების განმარტება/ახსნა, ამ პრინციპების გამოყენება და შეფასება ინოვაციურ, დამოუკიდებელ და სპეციფიკურ სამეცნიერო პროექტებში; ▪ კოლეგებისა და საკუთარი თავის პროფესიონალიზმის, გუნდური მუშაობის უნარის, ადამიანთაშორისი ურთიერთობების, პროფესიული კეთილსინდისიერების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ღირებულებითი დაცვა და შეფასება. ▪ სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლება, სხვების სწავლების დაგეგმვა და მართვა.
კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები	➢ დარგის პოლიტიკის და სტრატეგიის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი დაწესებულებები, ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული უწყებები ➢ პროფილური და მომიჯნავე აკადემიური და კვლევითი დაწესებულებები ➢ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ➢ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებები (სამკურნალო, პროფილაქტიკური, სარეაბილიტაციო

	დაწესებულებები, პირველადი ჯანდაცვის რგოლი) ➢ სოციალური სამსახურები ➢ სოციოლოგიური და ეპიდემიოლოგიური კვლევების სააგენტოები ➢ სადაზღვევო კომპანიები ➢ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სახელმწიფო და საგრანტო პროგრამები ➢ ჯანმო–ს და გაეროს სააგენტოების ადგილობრივი და რეგიონული ოფისები ➢ სამედიცინო ბიზნესის ადმინისტრირება ➢ სამედიცინო სტატისტიკის ცენტრები

სასწავლო კომპონენტის (45 კრედიტი)

სასწავლო კურსი/მოდული	კრედიტების რაოდენობა
ძირითადი სპეციალობა	15
სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია ბიოსტატისტიკით	7
უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია	5
ბიოსამედიცინო მეცნიერებების ეთიკა	4
უცხოური ენა – ინგლისური (დაშვების წინაპირობა B2 დონე)	10
ელექტიური სასწავლო კურსები	
კვლევის სპეციფიკით განსაზღვრული მომიჯნავე სპეციალობა	2
სამეცნიერო პროექტის შედგენის მეთოდოლოგია	2
მტკიცებითი მედიცინა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკაში	2
მტკიცებითი მედიცინა სამედიცინო პრაქტიკაში	2
აკადემიური წერა ინგლისურ ენაზე	2
გერმანული ენა (დაშვების წინაპირობა B2 დონე)	2
ფრანგული ენა (დაშვების წინაპირობა B2 დონე)	2
რუსულიენა (დაშვების წინაპირობა B2 დონე)	2